



მანათლების ხარისხის მანვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაპროფესიული საჯარო მოხელის  
პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამის  
შესახებ

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა-  
„პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“

სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა

#### ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლევან მადათოვი, შპს ევროპის უნივერსიტეტი

წევრები: თეა ეხვაია - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრი.

თბილისი  
2020

## შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა:

სსიპ - ზურაბ უვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიმართვის (წერილი №74008) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება №1158411 (04/12/2020) საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა მონიტორინგის ვიზიტი „მოხელის მენეჯერული უნარების“ და „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების რესურსების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, კერძოდ, დაწესებულების მიერ ფართის (2 ახალი ფართი) და პროგრამის განმახორციელებელი პირების - ტრენერების (7 ტრენერი) დამატების მიზნით.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შენდეგი შენადგენლობით: თავმჯდომარე - ლევან მადათოვი, წევრი - თეა ეხვაია, განხორციელდა დისტანციურად 2020 წლის 09 დეკემბერს.

ვიზიტის განხორციელებამდე ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტები. ვიზიტი განხორციელდა 15:00 სთ-დან წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში ექპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩატარა ინტერვიუები დაწესებულების დირექტორთან, დირექტორის მოადგილესთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, ტრენერებთან და პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ჩართულ სხვა პირებთან, შეისწავლა და მოისმინა ინფორმაცია სასწავლო ფართისა და მატერიალური რესურსების შესახებ და ვიზიტის დასრულებისას, დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ვიზიტის განმავლობაში გაკეთებული ძირითადი მიგნებები.

## პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი და ადმინისტრაციული წარმოების მასალებისა და ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მონიტორინგისვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

### რეკომენდაციები

-  
არ საჭიროებს

რჩევები (არსებობის შემთხვევაში)

-  
არ საჭიროებს

### ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

- ლევან მადათოვი (თავმჯდომარე)
- თეა ეხვაია (წევრი)

## პროგრამის შესაბამისობის შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან

### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები

პროგრამისგანხორციელებასთანდაკავშირებულირესურსებიუნდაუზრუნველყოფდესპროგრამისეფექტურანგანხორციელებასდაგანსაზღვრულიმიზნებისმიღწევას.

- 2.1. სწავლებას ახორციელებს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი/პირები (შემდგომში – ტრენერი):
- ა) ტრენერს აქვს პროგრამის სასწავლო კომპონენტის შესაბამისი: 1) აკადემიური უმაღლესი ან მასთან გათანაბრებული განათლება, ან შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება; და 2) ბოლო 3 წლის განმავლობაში ტრენერად მუშაობის გამოცდილება;
- ბ) ტრენერთან გაფორმებულია ხელშეკრულებები ან წინასწარი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- გ) ტრენერს არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი, კერძოდ, ტრენერი არ შეიძლება იყოს პირი, რომლის სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებამაც შეიძლება პირდაპირი და უშუალო ზეგავლენა მოახდინოს აკრედიტაციის პროცესის მიუკერძოებლად და ობიექტურად განხორციელებაზე.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისადმი სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიმართვაში (წერილი №74008) სკოლის მიერ პროგრამის განმახორციელებელი პირების (შემდგომში ტრენერების) დამატების შესახებ, კერძოდ, 7 განმახორციელებელი პირის.

სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის ტრენერის სამუშაო აღწერილობისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორის 2019 წლის 29 მაისის N287/ს/01/01 ბრძანებით განსაზღვრულია ტრენერთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პროგრამის განხორციელებისათვის შერჩეული იყო 10 ტრენერი. ამ ეტაპზე სკოლა ამატებს 7 ტრენერს.

პროგრამის განხორციელებისათვის შერჩეული იყო 15 ტრენერი. ამ ეტაპზე სკოლა ამატებს 7 ტრენერს. აღნიშნული ტრენერების კვალიფიკაცია დასტურდება შემდეგი წარმოდგენილი დოკუმენტაციით: წარმოდგენილი CV-ებითა და შესაბამისობის დოკუმენტით. კონკრეტული მიმართულებით კომპეტენცია ზოგ ტრენერს უდასტურდება უმაღლესი განათლებით, ზოგს - შესაბამის სფეროში სულ მცირე სამწლიანი გამოცდილებით. ყველა მათგანს აქვს ბოლო სამი წლის განმავლობაში უწყვეტი ტრენერობის გამოცდილება.

აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას, ტრენერებთან გაფორმებული წინასწარი შეთანხმებების გადამოწმებისას დადგინდა, ტრენერებს თანხმობა აქვთ გამოხატული ტრენინგის ჩატარებაზე მთელი საქართველოს მასშტაბით. ტრენერებთან გასაუბრებით

გაირკვა, რომ თითოეულ მათგანს აქვს ინფორმაცია ყველა შესაძლო ლოკაციის შესახებ. თითოეული ტრენერის საქაღალდეში წარმოდგენილია ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის თაობაზე. ტრენერთა პირად საქმეებში არსებული დოკუმენტის მიხედვითა და გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაციით არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი. ინტერვიუთი დადგინდა მათი მზაობა პროგრამაში ჩართვის შესახებ, ამ ეტაპზე ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარების გათვალისწინებით, პროგრამა განხორცილებული და გასაუბრება დისტანციურად.

#### ინდიკატორები

- ტრენერთა შესახებ წარმოდგენილი საქაღალდეები;
- სკოლის დირექტორისა და ადმინისტრაციასთან გასაუბრება;
- ტრენერობის კანდიდატებთან გასაუბრება.

#### რეკომენდაციები:

-

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### შეფასება:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. დაწესებულებას შეუძლია პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების (დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება) განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსების დემონსტრირება:

ა) არსებობს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას;

ბ) შემუშავებულია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც რეალისტური და გაზომვადია; ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს;

გ) ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებსა და საჭიროებებს;

დ) რესურსები ხელმისაწვდომი და გამოყენებადია სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის;

ე) არსებობს პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების სრულყოფილად განხორციელების უზრუნველყოფისთვის საჭირო ფართი, სადაც დაცულია ჰიგიენისა და უსაფრთხოების ნორმები, მათ შორის, არსებობს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონეპირებისთვის; ფართის მართლზომიერი მფლობელობა დასტურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით ან არსებობს წერილობითი შეთანხმება, საჭიროებიდან გამომდინარე, ფართით დროებითი სარგებლობის შესაძლებლობის შესახებ.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

1. სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამას ახორციელებს 10 სატრენინგო ლოკაციაზე: ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქ. N13, სსიპ-ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა;
2. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ლამბალი, ქუჩა 1, N11. სსიპ-ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის საგარეჯოს რეგიონული სასწავლო ცენტრი;
3. ქალაქ ბათუმში, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. N35/32. სსიპ-შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
4. ქალაქ ზუგდიდში, ჯანაშიას ქ. N14. სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პირველი სართული, აუდიტორია N113;
5. ქალაქი ახალციხე, სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რუსთაველის ქ. N113 (უნივერსიტეტის პირველი კორპუსი), აუდიტორია N123; რუსთაველის ქ. N122ა (უნივერსიტეტის მე-2 კორპუსი), აუდიტორია N110;
6. ქალაქი ახალქალაქი, სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აღმაშენებლის ქ. N119 (უნივერსიტეტის მე-2 კორპუსი), კომპიუტერული კლასი;
7. ქალაქი გორი, ჭავჭავაძის გამზირი N53, სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პირველი კორპუსი, აუდიტორია N208;
8. ქალაქი თელავი, ახალი უნივერსიტეტის ქ. N1, სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პირველი სასწავლო კორპუსი, მე-5 სართული, აუდიტორია N110;
9. ქალაქი თბილისი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირი N3/5, სსიპ-ილია სახელმწიფო უნივერსიტეტი;
10. ლაგოდების მუნიციპალიტეტი, სოფელი შრომა, სსიპ-კოლეჯი „აისის“ ლაგოდების განყოფილების სასწავლო კორპუსი, აუდიტორია N201.

დაწესებულება პროგრამის განხორციელებას გეგმავს დამატებით 2 ლოკაციაზე, კერძოდ:

1. ქალაქი თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N1თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პირველი სასწავლო კორპუსი (101-ე საკონფერენციო აუდიტორია; 201ა-ე საკონფერენციო აუდიტორია); მეორე სასწავლო კორპუსი (107-ე მცირე საკონფერენციო აუდიტორია); თსუ, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა (დარბაზი N103; სამკითხველო დარბაზი N200; ოთახი N203; სატრენინგო დარბაზი N402; ოთახი N405; ოთახი N406; ოთახი N409);
2. ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილი მე-3 კმ., სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია.

აღნიშნული ორივე სატრენინგო ლოკაცია წარმოადგენს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. თსუ გადაწყვეტილება № 53 (27.08.2018) აკადემია გადაწყვეტილება № 12 (14.07.2016) სატრენინგო ლოკაციების შესწავლა მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. აკრედიტაციის ექსპერტთა ადმინისტრაციული წარმოების ლოკაციებზე არსებობს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რაოდენობისა და ხარისხობრივად შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რაც უზრუნველყოფს სწავლების ეფექტურობას. ყველა ლოკაციაზე დაცულია ჰიგიენისა და უსაფრთხოების ნორმები. ფართის მართლზომიერი მფლობელობა დასტურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და არსებობს ზემოთ ჩამოთვლილი ლოკაციების გამოყენებაზე წერილობითი შეთანხმებები (მემორანდუმი; წერილი), საჭიროებიდან გამომდინარე ფართის დროებითი სარგებლობის შესაძლებლობის შესახებ.

### ინდიკატორები

- სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის 2019 წლის 31 დეკემბრის MOD 0 19 01365650 კორესპონდენცია;
- სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიასა და სსიპ-ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას შორის 2019 წლის 09 სექტემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 17 დეკემბრის N18739/02-05-07 კორესპონდენცია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სსიპ-ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას შორის 2019 წლის 09 დეკემბერს გაფორმებული N69/05 მემორანდუმი;
- სსიპ-ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორის 2020 წლის 08 დეკემბრის MES 3 20 0001170313 წერილი.

### რეკომენდაციები:

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან